შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 40517

22/09/2014

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მატერიალური საშუალებების ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაზე გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ, ბალანსიდან ბალანსზე გადაეცეს სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მატერიალური საშუალებები: დანართი №1-ის შესაბამისად, ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულიბით 100412 (ასი ათას ოთხასთორმეტი) ლარი და 59 თეთრი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 20292 (ოცი ათას ორასოთხმოცდათორმეტი) ლარი და 01 თეთრი, დანართი №2-ის შესაბამისად მცირეფასიანი საშუალებები 6236 (ექვსი ათას ორასოცდათექვსმეტი) ლარი და 40 თეთრი.
2. სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ უზრუნველყოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაზე ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონების გადაცემა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
3. მიღება - ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების უფროსი თორნიკე ხელთუფლიშვილი.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი:საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 16.სექტემბრის №97809-02 წერილი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 05 სექტემბრის №159 წერილი.

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური